# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 21 აგვისტო 2003 №156 (1927) | ფასი 50 თეთრი


## ებრაელებმა რუსებს მწარედ უჩქმიტეს
## ჟორდანიას კი გაზაევი მოაცილეს



დღეს ვალერი გაზაევს ვიაჩესლავ კოლოსკოვი რუსეთის ნაკრებს ჩამოართმევს





## რა ღირს მსაჯების ჯგუფური გინება?
## სამ-ოთხკაციანი პურმარილი





## ნახე, რა!

გუშინ პუერტო რიკოში, ათენის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირში მექსიკამ მოულოდნელად დაამარცხა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი არგენტინა. „დალას მავერიკსში“ მოთამაშე ედუარდო ნახერამ არგენტინელებს 20 ქულა ჩაუგდო

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**V ჯგუფი**

ფარერები 1:2 ისლანდია

**IX ჯგუფი**

სერბეთი 1:0 უელსი

## მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი ფინეთი

**C ჯგუფი. III ტური**

ბრაზილია 3:0 იემენი

პორტუგალია 5:5 კამერუნი

**D ჯგუფი. III ტური**

სიერა ლეონე 2:3 სამხრეთ კორეა

აშშ 0:2 ესპანეთი

## რუსეთი

**ლიგის თასის ნახევარფინალი. I მატჩები**

შინიკი 1:1 ჩერნომორეცი

ტორპედო 2:2 ზენიტი

## ამხანაგური მატჩები

**რუსეთი 1:2 ისრაელი**

0:1 ნიმნი (62), 0:2 ბალილი (81), 1:2 სემაკი (86)
რუსეთი: ოვჩინიკოვი, ა. ბერეზუცკი (კოვტუნი 46), ვ. ბერეზუცკი (სენიკოვი 46), ალდონინი, ვახილიევი (გუსევი 46), იგნაშევიჩი, ბისტროვი, სიჩოვი (სემაკი 46), კარიაკა, ლოსკოვი (ხოხლოვი 46), კერჟაკოვი (პავლიუჩენკო 46)
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
მსაჯი: იგორ იშჩენკო (უკრაინა)
6 000 მაყურებელი

**მაკედონია 3:1 ალბანეთი**

1:0 ნაუმოსკი (9), 2:0 პანდევი (36), 2:1 შკემა (74), 3:1 დიმიტროვსკი (77)
ალბანეთი: სტრაკოშა (ბექაი 46), დედე (ბუქირი 46), ჩიპი, ალიაი (დაბულა 81), ჰასი, ბელაი, კანა (შკემბი 81), ჰაჯი (მუკა 71), შკემა, ტარე (მურტაი 80), ბუში (კ. დური 46)
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი
გაძევება: ჩიპი (20)
მსაჯი: გორან მიჰალევიჩი (სერბეთი)
4 000 მაყურებელი

იაპონია 3:0 ნიგერია

ჩინეთი 0:0 ჩილე

ბელარუსი 2:1 ირანი

ლიხტენშტაინი 2:2 სან მარინო

ტუნისი 0:0 გვინეა

ესტონეთი 1:2 პოლონეთი

სლოვენია 2:1 უნგრეთი

ლატვია 0:3 უზბეკეთი

უკრაინა 0:2 რუმინეთი

თურქეთი 2:0 მოლდოვა

დანია 1:1 ფინეთი

ბულგარეთი 3:0 ლიტვა

ნორვეგია 0:0 შოტლანდია

შვედეთი 1:2 საბერძნეთი

ბელგია 1:1 პოლანდია

არგენტინა 3:2 ურუგვაი

ავსტრია 2:0 კოსტა რიკა

გერმანია 0:1 იტალია

შვეიცარია 0:2 საფრანგეთი

ინგლისი 3:1 ხორვატია

პორტუგალია 1:0 ყაზახეთი

დომინიკა — ბელიზი *დილით გაიმართა*

კოლუმბია — სლოვაკეთი *დილით გაიმართა*

ალჟირი — ყატარი *დილით გაიმართა*

მექსიკა — პერუ *დილით გაიმართა*

ვენესუელა — ჰაიტი *დილით გაიმართა*

ეკვადორი — გვატემალა *დილით გაიმართა*

პანამა — პარაგვაი *დილით გაიმართა*

**ახალგაზრდულები**

დანია 2:1 ფინეთი

უკრაინა 2:1 რუმინეთი

ჩეხეთი 0:0 ეგვიპტე

შვედეთი 2:0 საბერძნეთი

შვეიცარია 1:1 საფრანგეთი

# ებრაელებმა გაზაევი ჯვარს აცვეს

**გუშინდელმა** ევროპულმა საამხანაგო დღემ რუსთა ნაკრების თავკაცი ვალერი გაზაევი შეიწირა. მოსკოვურ „ლოკომოტივზე" ჩვენი მეტოქე ებრაელებმა წამოაქციეს და გაზაევს გასაქცევად გაუხდა საქმე.

რუსთა რჩეული და ნაცადი შემადგენლობა სტუმრებმა გვარიანად აწვალეს. ნიმნის და ბალილის გოლებით ისრაელი სულაც 2:0-ს იგებდა და რუსებმა ბოლოსღა შეძლეს ერთის გაქვითვა.

ნამატჩევს გაზაევმა ჟურნალისტებს აცნობა, მივდივარ, ხვალვე შევალ განცხადებით კოლოსკოვთანო. მოვიდეს და ვინც გააჩეროსო, თავის მხრივ უთქვამს რუსთა საფეხბურთო კავშირის თავკაცს. მოკლედ, დღეს ოფიციალურად გაიყრება გაზაევის და რუსეთის ნაკრების გზები. მოსახდენი მოხდა და ეს მოსალოდნელიც იყო, კოლოსკოვი დიდხანს ვერ მოუთმენდა ულვაშა მწვრთნელს, რაკილა ვერაფრით დაიყოლია ცსკადან წასვლაზე.

რუსები წამსვე გაზაევის სავარაუდო მემკვიდრეზე ალაპარაკდნენ, რეალური კანდიდატი ისევ და ისევ კოლოსკოვის სიტყვებმა წარმოაჩინა. „ბიშოვეცი და რომანცევი უკვე ხელმძღვანელობდნენ ნაკრებს, ჩერნიშოვი კი „სპარტაკშია" დაკავებული, ამიტომ ვფიქრობ, ამ ეტაპზე ყველაზე რეალური ბოროდიუკის ვარიანტია" — განუცხადებია კოლოსკოვს. გამოდის, სავსებით შესაძლოა, ევროშესარჩევის ბოლო ტურის მატჩში მოსკოვში ჩასულ ქართველებს სწორედ ალექსანდრ ბოროდიუკი დახვდეს. იქამდე კი ალბანეთის ჯერია, რომელიც გუშინ მაკედონიელებს დანებდა. გუშინდელი ამხანაგური მატჩებიდან კი გამორჩეული ომი ძველმა მეტოქეებმა, არგენტინა — ურუგვაიმ გამართეს. ურუგვაის რეკობას და ფორლანის ბრწყინვალე თამაშმა ვერ უშველა — არგენტინას გუშინ ჯადობიჭი დალესანდრო ჰყავდა. იტალიამ იტალიური ანგარიშით დაამარცხა შეთხელებული გერმანია. ინგლისმა კი ხორვატიის წაქცევა არ დაიზარა. ბრიტთა ზეობაში ბექემის ფეხიც ერია.

**ბაატა კვანტალიანი**



ვალერი გაზაევს და მის თანაშემწეებს აღარავინ შეეწევა



იტალიელთა მწვრთნელმა ტრაპატონიმ გერმანელ კოლეგა რუდი ფიოლერს გაუტანა



დევიდ ბექემმა მარჯვენა საგოლედ ერთხელ მოიქნია



იაპონია — ნიგერია. აფრიკულ-აღმოსავლური ორთაბრძოლა

# ამერმა ცხრიანში მოარტყა

**გიორგი დარჯანია** *კესელბახიდან*

**გერმანიაში** მყოფმა თბილისის „ამერმა" გუშინ მეორე მატჩი ჩაატარა. მისი მეტოქე ამჯერად კრაისლიგის გუნდი იყო, „კესელბახი" იყო, რომელიც ქალაქების, კესელბახის, ოდევაუსენის და ალერტშაუზენის გაერთიანებული გუნდია.

შეგახსენებთ, რომ „ამერმა" პირველი თამაში 1:0 მოიგო, ახლა კი მეტოქეს გაცილებით უფრო იოლად გაუსწორდა და 9:0 დაამარცხა. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ მეტოქე ძლიერი არ იყო, თუმცა ასეთი შედეგი „ამერის" ფეხბურთელთა პირველ მატჩთან შედარებით უკეთესმა შეთამაშებამაც განაპირობა.



ბექა გოცირიძე

ანგარიში მე-3 წუთზე მამუკა რუსიამ გახსნა. ოთხ წუთში რუსიასვე დარტყმულს რალფ შეკმა ფეხი უხერხულად დაუხვედრა და ავტოგოლი მიითვალა. მე-16 წუთზე გიორგი ნიკოლაიშვილმა გერმანელ მცველს ბურთი საჯარიმოს ხაზთან მოპარა და ანგარიში გაასამა. მეოთხე გოლი გიორგი კილასონიამ ბექა გოცირიძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიტანა, ხოლო პირველი ტაიმის ბოლო წუთზე რუსიამ დუბლი მიითვალა. ისე, რუსიას ჰეთთრიქის გახერხებაც შეეძლო, მაგრამ ერთ ეპიზოდში ბურთი ხარიხას გაარტყა.

მეორე ტაიმში მწვრთნელმა გიოზ დარსაძემ რვა ფეხბურთელი შეცვალა და ახალშესულებმა კიდევ ოთხი გოლი გაიტანეს. გამორჩეულად ლამაზი რატი წინამძღვრიშვილის მიერ ფლანგიდან ცხრიანში ჩაჭედებული გოლი გამოდგა. მის გარდა ბესიკ ჩიმაკაძემ და ორიც გიორგი ლუდუშაურმა შეაგდეს.

„ამერმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ასლანაძე (ჩაფიძე 46), დავითნიძე, ჩიხრაძე, ელბაქიძე (გვაძაბია 46), მჭედლიშვილი (ლუდუშაური 46), ბჟალავა (დარსაძე 46), განუგრავა (კუსრაშვილი 46), ნიკოლაიშვილი, გ. კილასონია (ბერიანიძე 46), რუსია (ჩიმაკაძე 46), გოცირიძე (წინამძღვრიშვილი 46).

მომდევნო თამაშს „ამერი" 26 აგვისტოს გამართავს.



დინამო — მაჭვბა. ასეთი ჯგუფური გაწევ-გამოწევა სულ რაღაც ორასი ლარი დაჯდა

# ლარდატუქსულნი

**გუშინ** სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა და ვერდიქტებიც ჩამორიგდა.

პირველი ლიგის „ქობულეთი“ ასი ლარით დაისაჯა, რადგან „ლოკომოტივი 2“-თან პირველი ტურის მატჩში სტადიონზე საქართველოს ჰიმნი არ აჟღერებულა.

ას-ასი ლარის გადახდა მოუწევთ უმაღლესლიგელებს — პირველი ტურის „ლოკომოტივი“ — „სიონის“ შემდეგ პრესკონფერენცია არ შედგა და რკინიგზელები ჯარიმას ამის გამო გადაიხდიან; მესამე ტურის „ტორპედო“ — „სპარტაკის“ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მასპინძელთა მთავარი მწვრთნელის მაგივრად მისი თანაშემწე გამოცხადდა და ქუთაისელებიც ამისთვის დაისაჯნენ; მეოთხე ტურში „სპარტაკი“ და „დილა“ ვერ გასწვდნენ პრესკონფერენციას და ამიტომაც გამოუტანეს ასლარიანი განაჩენი.

მეოთხე ტურის „დილა“ — „მერცხალის“ მატჩში ოზურგეთელი დავით ხუჭუა მსაჯის გინებისთვის გააძევეს — დისციპლინარებმა მას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს და 200 ლარის გადახდაც დააკისრეს.

მესამე ტურის „ტორპედო“ — „სპარტაკის“ შემდეგ ტორპედოელთა წარმომადგენლები გულშემატკივრებთან შელაპარაკდნენ, რაც „ტორპედოს“ 200 ლარად დაუჯდება.

გაირჩა მეოთხე ტურის „დინამო“ — „ვიტ-ჯორჯიაც“ და არასპორტული საქციელის გამო „დინამო“ 200 ლარით დაჯარიმდა.

**დავით თავართქილაძე**

# პროფლიგა პირდაპირ ეთერში



## ლოკომოტივი VS დინამო ლუქსებით

ახალშექმნილი საქართველოს საფეხბურთო პროფესიული ლიგა ნელ-ნელა ძალას იკრებს — ეროვნული ჩემპიონატის მომდევნო ტურიდან უკვე მატჩების პირდაპირი ტელეტრანსლაციები მოეწყობა.

მეხუთე ტურის ცენტრალური შეხვედრა „ლოკომოტივი“ — „დინამოა“. მატჩი 23 აგვისტოს საღამოს რვა საათზე დაიწყება და განათებით ჩატარდება. სწორედ ეს თამაში იქნება პროფლიგასა და მის ერთ-ერთ პარტნიორ ტელეკომპანიასთან თანამშრომლობის დასაწყისი — მატჩს „იმედი“ გადასცემს.

ეროვნული ჩემპიონატის და სათასო მატჩებზე დამონტაჟება პროფლიგის სპონსორთა სარეკლამო დაფები, მათ შორის საპრესკონფერენციო დარბაზებში და გასახდელებთანაც. „ლოკომოტივი“ — „დინამოზე“ კი პირველად დატრიალდება პროფლიგის ვიდეოკლიპი — ის რვაწამიანია, სადაც პროფლიგის ლოგოტიპია გამოსახული კომპიუტერულ გრაფიკაში. კლიპის რიტმულ მუსიკაში ვოკალი არ არის, თუმც ქართული მოტივი მაინც გამოსჭვივის. ყოველივე ეს ტელეკომპანია „იმედმა“ დაამზადა პროფლიგის დაკვეთით.

**დავით თავართქილაძე**

# ამირანი მარეკზე არ მიჯაჭვულა
## აქეთ თურქები, იქით გერმანელები

*როცა „ბათუმი“ მძლავრობდა და ყოველ სეზონში ჩემპიონობისა და თასის მოგების პრეტენდენტი იყო, ყოჩაღობდა ამირან მუჯირიც, ბათუმელი ნახევარმცველი, მოქნილი, სხარტი ფეხბურთელი, ერთ-ერთი გამორჩეული ცაცია ჩვენს ჩემპიონატში, თავის დროზე ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი. ამირან მუჯირი საქართველოდან სამი წლის წინ წავიდა. ბულგარეთის უმაღლეს ლიგაში ასულმა „მარეკმა“ გუნდის გაძლიერება გადაწყვიტა და სხვებთან ერთად ჩვენიანიც მიიწვია. ამირანს „მარეკში“ ადგილის დამკვიდრება არ გასჭირვებია, ერთი-ორი თვე ახალ გუნდთან შეგუებას მოანდომა, მერე კი ძირითად შემადგენლობას არ დაშორებია*



ამირან მუჯირი (მარცხნივ) საუკეთესო, ბათუმურ წლებში

ბულგარეთამდე მუჯირი ისრაელშიც ბურთაობდა, მაგრამ იქ საქმეები ვერ აეწყო და მალევე გამობრუნდა. ნახევარი სეზონი თბილისის „დინამოში“ ითამაშა, მერე „ბათუმს“ დაუბრუნდა, ორი წელი მშობლიურ კლუბში გაატარა და ბულგარეთს მიაშურა.

29 წლის ამირან მუჯირისთვის წინა სეზონი კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული ყოფილა. ბულგარეთის ჩემპიონატში გატანილი 15 გოლით ბომბარდირთა მარაქაში გაერია და ჩვენი კოლეგებისა თუ სპეციალისტების ქება დაიმსახურა. გამორჩეული იყო ქართველი ნახევარმცველი წლევანდელ ინტერტოტოს გათამაშებაშიც, სადაც მისი გუნდი გერმანულმა „ვოლფსბურგმა“ დაამარცხა.

— შარშან მართლაც კარგი სეზონი მქონდა, თითქმის ყოველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში ვხვდებოდი, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დამასახელეს, გუნდში მეტად დამაფასეს — გვითხრა ამირან მუჯირმა, როცა ბულგარეთში დავუკავშირდით — ურიგოდ არც ახლა ვთამაშობ, ჩემპიონატი ახლახან დაიწყო, ერთი თამაში მოვიგეთ, მეორე — წავაგეთ, ორჯერვე საუკეთესოდ დამასახელეს. კარგად ვითამაშე ინტერტოიტოზეც, რასაც სხვადასხვა გუნდებისგან წინადადებები მოჰყვა და მალე შესაძლოა „მარეკი“ დავტოვო კიდეც.

**— მალეო, ამბობ, როდის?**

— ალბათ ზამთარში წავალ „მარეკიდან“. ყოველ შემთხვევაში, კლუბთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულში მიმთავრდება და თუ „მარეკი“ იქამდე შემაყოვნებს, ჩემს სანაცვლოდ კაპიკს ვერ გამორჩება. კლუბის პრეზიდენტი პატიოსანი კაცია, რაც აქამდე უთქვამს, რასაც დამპირებია, ყველაფერი შეუსრულებია და ახლაც მჯერა მისი სიტყვის, მითხრა, ზამთარში გაგიშვებო.

**— ჩანს, საკმაოდ არიან შენით დაინტერესებული გუნდები.**

— ბულგარეთის ჩემპიონატის ორი ლიდერი ცეესკა და „ლევსკი“ მეპატიჟებიან, თურქეთიდან მაქვს რამდენიმე წინადადება, ამას წინათ კი, „ვოლფსბურგთან“ ინტერტოტოზე მატჩის შემდეგ, გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „უნიონიდან“ დამიკავშირდნენ.

**— შენს სანაცვლოდ „მარეკი“ რამდენს ითხოვს?**

— აქამდე 300 ათასს ევროდ მაფასებდნენ, ახლა კი ნახევარ მილიონს ითხოვენ.

**— მოკლედ, გაზაფხულიდან სხვა გუნდში ითამაშებ?**

— არ იფიქროთ, ტრაბახობსო და გეტყვით, რომ „მარეკის“ დონეს გადავაჭარბე, ამ გუნდში დასამტკიცებელი უკვე დავამტკიცე. ახლა გუნდის გამოცვლაა საჭირო, თავად ვატყობ, დარწმუნებული ვარ, რომ უფრო მაღალ დონეზე შემიძლია თამაში. ამას მეუბნებიან „მარეკშიც“; ამას წერენ ჟურნალისტები, ამბობენ სპეციალისტები.

**— რა გაქანების გუნდია „მარეკი“?**

— პრეტენზიული, ამბიციური გუნდია. ბულგარეთში საშუალო დონედ ითვლება. უმაღლეს ლიგაში მაშინ დაბრუნდა, როცა მე მიმიწვიეს, ძირითადად მეშვიდე-მეცხრე ადგილებზე მერყეობს. წლეულს „მარეკმა“ ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი გაყიდა, ერთი, ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი კი რიგში დგას. „მარეკს“ 1979 წელს ქვეყნის თასი მოუგია, აქვს სხვა წარმატებებიც, თუმც დიდი არაფერი.

**— ბულგარეთის ჩემპიონატის დონეზე რას იტყვი?**

— ვერ ვიტყვი, რომ დაბალი დონეა. ყოველ სეზონში ჩემპიონობისთვის ხუთი-ექვსი გუნდი იბრძვის, არც აუტსაიდერები არიან ხელწამოსაკრავი და ხშირია მოულოდნელი შედეგები. თუმც ისიცაა, რომ საქართველოსავით აქაც არის ხოლმე მსაჯთა მოსყიდვის შემთხვევები, გარიგებული მატჩები. რეკლამა აქ იოლი საქმეა, თუ ფეხბურთელი ათამაშდა, უმალ წამყვანი ევროპული კლუბების თვალთახედვის არეში ხვდება, ამიტომაც ტრანსფერებიც ხშირია. ბევრი ბულგარელი ფეხბურთელი თამაშობს კარგ ევროპულ გუნდებში.

**— ბულგარეთში ქართველი ფეხბურთელი კიდევ ვინ არის?**

— პლოვდივის „ბოტევში“ გვიანიძე და სიხარულიძე თამაშობენ. სიხარულიძე ახლა ტრავმირებულია და საქართველოში მკურნალობს. ორიოდ დღის წინ კი გავიგე, რომ „ჩორნომორე“ ლევან შავგულიძესთან აპირებს კონტრაქტის გაფორმებას.

**— სათამაშო პოზიცია ხომ არ შეგიცვლია?**

— კი, შევიცვალე. ახლა გამთამაშებლობა მევალება. აღარც კი მახსოვს, ბოლოს, ფლანგზე როდის ვითამაშე. ეს საქმე კარგად გამომდის, წინა სეზონში 15 გოლიც გავიტანე, შარშანწინ — 12. მატჩში საშუალოდ ერთ-ორ ისეთ პასს ვაკეთებ, თანაგუნდელს მეკარესთან პირისპირ ვტოვებ, სამწუხაროდ, ყოველთვის გოლი არ გადის.

**— საქართველოში დაბრუნებაზე ხომ არ გიფიქრია?**

— არა. არც კი ვიცი, საქართველოს ჩემპიონატში რა ხდება, თუმც ვიცი, რომ „ბათუმს“ ძალიან უჭირს. 29 წლის ვარ და კარიერას, ალბათ, ბულგარეთში ან ევროპის სხვა ქვეყანაში დავასრულებ. ჩემი საუკეთესო წლები კი საქართველოს ჩემპიონატმა წაიღო.

**— ჩავთვალოთ, რომ ბულგარეთში კარგად მოეწყვე?**

— კი, კარგად ვარ. ენის პრობლემა არ მაქვს. ვცხოვრობ ცოლშვილთან ერთად, ვმეგობრობ ქართველებთან. სახლი სტადიონთან ახლოს მაქვს, პირობები ნორმალურია. მოკლედ, კმაყოფილი ვარ, თუმც უფრო კმაყოფილი მაშინ ვიქნები, როცა გუნდს გამოვიცვლი.

**ქობა ინასარიძე**




*წინა სეზონში რეგიონალლიგელმა „აუემ“ სასწაულებრივ მოიპოვა მეორე ბუნდესლიგის საგზური. პატარა აუელებმა ბოლო ტურებში მიჯრით მოიგეს სამი მატჩი და ისტორიულ წარმატებას მიაღწიეს. 18-ათასიანი დაბის გუნდი მანამდე ობერლიგას და რეგიონალლიგას შორის ხეტიალობდა, შარშან კი გუნდს ტყუპმა ძმებმა ლეონარდებმა მოჰკიდეს ხელი. თანაპრეზიდენტებმა მწვრთნელად გერდ შედლიხი მიიწვიეს და შედეგიც მალე მოიმკეს. „აუეს“ წარმატებაში დიდი წილი დაიდო ჩვენებურმა ხვიჩა შუბითიძემაც. შვიდი წლის წინ გერმანიაში ბედის საძიებლად წასულმა და რეგიონალლიგის გუნდებში ნახეტიალებმა რუსთაველმა შემტევმა დიდი სარგებლობა მოუტანა ახალ გუნდს. შუბითიძის გოლებმა არაერთი მატჩის ბედი გადაწყვიტა და მადლიერმა გერმანელებმაც ახალი მეორებუნდესლიგური კონტრაქტით დაუფასეს გარჯა ქართველს. შუბითიძე გუნდის ძალიან ერთგულია, ეს განწყობა მის ლაპარაკშიც იგრძნობა. ქართულს დანატრებული რუსთაველი ფეხბურთელის ძირითადი სასაუბრო თემა „აუე“, გუნდის პრობლემებზე და შესაძლებლობებზე მსჯელობაა. შუბითიძეს გუშინ ცვიკაუში, ნავარჯიშევს დავუკავშირდით*

# შუბი, ჰოლივუდში არ მიდიხარ?
## აუემ აუე დასძახა


გერდ შედლიხი

— ცვიკაუში რატომ ცხოვრობ, არ გიჭირს წარა-მარა აუეში მგზავრობა?

— ცვიკაუს მივეჩვიე. ადრე ამ ქალაქის გუნდში ვთამაშობდი. ოთხი წელია, აქ ვცხოვრობ, ოჯახიც აქ მყავს, მეუღლე და ორი ვაჟი. აუეში სავარჯიშოდ თუ სათამაშოდ ჩასვლა კი ჩემთვის მართლაც არ არის პრობლემა. 25 კილომეტრია იქამდე და ამიტომაც არავის უცდია ჩემი ცვიკაუდან აუეში გადასახლება.

— როგორი გუნდია „აუე“?

— მეგობრული, ბოლომდე მებრძოლი. ეგაა, მეორე ბუნდესლიგის სხვა გუნდებთან შედარებით გამოუცდელები ვართ. კლუბის პატრონი ძმები ლეონარდები ევროპაში წარმატებულ ბიზნესმენებად კი ითვლებიან, მაგრამ მათი შესაძლებლობა ჩვენს გუნდს ნაკლებად ეტყობა. ამით იმის თქმა მსურს, რომ დანარჩენი კლუბების ბიუჯეტი ჩვენისას რამდენჯერმე აღემატება, თორემ ფეხბურთელები პირობებს არ ვუჩივით, მატერიალურადაც არ გვეჭირს და საწვრთნელადაც ჩინებული პირობები გვაქვს.

**— წინა სეზონში მართლაც სასწაულებრივ მოიპოვეთ მეორე ბუნდესლიგის საგზური. მაშინ ჩინებული დებიუტი გქონდა, ორ მატჩში ორი გოლი გაიტანე, მერე კი დიდი ხნით არ ჩანდი...**

— ტრავმა მქონდა, ფეხის თითი მოვიტეხე და სამი თვით გამოვაკლდი გუნდს. თებერვლის შემდეგლა მოვახერხე ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნება და მერე რაც შემეძლო, ის გავაკეთე „აუესთვის“.

**— მეორე ბუნდესლიგაში შენი დებიუტი მართლაც გამორჩეული იყო, სამ მატჩში ორი გოლით მეორე ბუნდესლიგაში ბევრიც ვერ მოიწონებს თავს...**

— ჯერჯერობით იღბალი ჩემკენაა და ვისურვებდი, რომ დიდხანს გაგრძელებულიყოს ასე. პირველ ორ მატჩში ათამდე საგოლე შანსი გვქონდა და ორივეში დავმარცხდით. მესამე ტურში, „უნიონთან“ კი სამი მომენტიდან ორი გოლად ვაქციეთ და ეს მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა. ერთი გოლი თანაგუნდელმა ჩემი პასით გაიტანა, მეორე კი თავად შევაგდე, სამ მცველს გავცდი და მეკარესთან პირისპირ გავედი. ქომაგებმა ნამატჩევს სიხარულით ლამის გამჭყლიტეს.

**— როგორი გულშემატკივარი გყავთ?**

— გიჟები არიან. მათი ხმა წამითაც არ წყდება სტადიონზე. ჩვენთან სტუმართა ქომაგს შანსი არა აქვს, აუელები უცებ მიაწყნარებენ ხოლმე და მერე მთელი მატჩის მანძილზე გვამხნევებს მათი შეძახილი.

**— პატარა დაბას ალბათ სტადიონიც შესაბამისი ექნება...**

— პირიქით. ჩვენი არენა 20 ათასიანია, მოსახლეობის რაოდენობას აღემატება, მაგრამ ორ საშინაო მატჩში 13-15 ათას მაყურებელზე ნაკლები არ გვყოლია და გაოცებულიც დავრჩი. აუეში ფეხბურთის ბუმია და მალე ალბათ მატჩის დღეს კაციშვილი არ დარჩება სახლში.

**— შენ გარდა რამდენი ლეგიონერი ჰყავს გუნდს?**

— შვიდნი ვართ: ორ-ორი ბულგარელი და ჩეხი, თითოც მაკედონიელი და ალბანელი.

**— მწვრთნელთან, გერდ შედლიხთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— შედლიხი მკაცრი კაცია, დისციპლინის მოყვარული და მომთხოვნი, თუმცა მის ამ თვისებას სიკეთის მეტი არაფერი მოაქვს გუნდისთვის და ფეხბურთელებიც შეგუებული ვართ მასთან ასეთ ურთიერთობას. მოედნის გარეთ პირად კონტაქტში არავისთან შედის, მაგრამ ეს ოდნავადაც არ მაღელვებს. პირიქით, დიდ პატივს ვცემ შედლიხს, საქმის კაცია და მისი დიდი დამსახურებაა, „აუე“ რომ მეორე ბუნდესლიგაშია.

**— მანდაური პრესა დიდ ყურადღებას გაქცევს, ალბათ გუნდშიც პოპულარული ხარ.**

— გაოგნებული ვარ, ასეთი რა გავაკეთე, კვირაში სამ-ოთხჯერ აჭრელებული რომაა აქაური ჟურნალ-გაზეთები ჩემი ფოტო-ინტერვიუებით. მორიგი ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ თანაგუნდელებთან ვხუმრობ ხოლმე — დამიჯერეთ, ძმებო, მათთვის ფული არ გადამიხდია-მეთქი. ამაზე ყველა ხითხითებს და, მალე ჰოლივუდში წაგიყვანენო, მეუბნებიან.

**— დებიუტანტ „აუეს“ რა გეგმები აქვს საამსეზონოდ?**

— თუკი არ გავვარდით ისეთივე სასწაული იქნება, როგორიც მეორე ბუნდესლიგაში ჩვენი გადმოსვლა.

**— რატომ, ასეთი დიდი სხვაობაა „აუესა“ და დანარჩენებს შორის?**

— მეორე ბუნდესლიგაში გუნდს ვერ ნახავთ, ეროვნული ნაკრების წევრი რომ არ ჰყავდეს. მათი ფინანსური შესაძლებლობა ჩვენი გუნდის ბიუჯეტსაც საგრძნობლად აღემატება, ასე რომ, დიდი საომარი გვაქვს, მაგრამ ჩვენ ჯიუტები და აზარტულები ვართ. ბოლომდე ვეცდებით ჩვენსას და ვნახოთ, რა გამოგვივა.

**— ეროვნული ნაკრები ახსენე. ჩვენი ქვეყნის უპირველეს გუნდში თამაშზე არ გიფიქრია?**

— ადრე ვფიქრობდი. ნაკრებში თამაში ოცნებად მქონდა გადაქცეული, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს, 29 წლის ვარ, საპენსიო ასაკამდე ბევრიც არ მიკლია. მე რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვიყო, ახალგაზრდებზე გავაკეთებდი აქცენტს და მომავალზე ვიფიქრებდი.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ქუთაისის მარიოტი საღორიაა
## პუხოვი სტადიონზე ეშვება




**მარიამობას** დიდი სტუმრიანობა იქნება საქართველოში. დღეის სწორს „ტორპედოს“ და „სიონს“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები აქვთ. „ლანსიც“ და „პუხოვიც“ ჩარტერული რეისებით გვეწვევიან. ფრანგებიც და სლოვაკებიც ოთხშაბათს ჩამოდიან. ფრანგული ლაინერი კოპიტნარის აეროპორტში დაეშვება. ნუ გაიკვირვებთ და „ლანსი“ საღორიის ბაზაზე დაბანაკდება. ჯონ უტაკა და ძმანი მისნი ოთხშაბათსვე „ტორპედოზე“ წაივარჯიშებენ.

„პუხოვი“ თბილისის აეროპორტში საღამოს ექვს საათზე დაეშვება. სლოვაკები ფეხბურთელების ჩათვლით 40-კაციანი დელეგაციით ჩამოდიან. ყველა სასტუმრო „მარიოტში“ დაბანაკდება. ნამგზავრი პუხოველები ლამის პირდაპირ მოედანზე გავლენ. გუნდს შვიდ საათზე აქვს ვარჯიში დაგეგმილი და საამისოდ მასპინძლები ან „ეროვნულს“ შესთავაზებენ, ანაც „შევარდენს“.

**ბაატა ძგანტალიანი**


ზაზა ზირაქიშვილს თურქეში ელიან

# მოგზაურობა თურქეთში
## აქეთ-იქით სებათისთვის

ამ ცოტა ხნის წინ გაუწყეთ, ზაზა ზირაქიშვილი „თბილისში“ აპირებს გადასვლასო, თუმც მეთორმეტე ეროვნულის მთავარმეგოლესა და საუკეთესო ფეხბურთელს თურქული ვარიანტი გამოუჩნდა — 28 წლის ფორვარდი გუშინ დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ორშაბათს კვლავ ოსმალეთში ამოჰყოფს თავს.

ზირაქიშვილი თურქულ სუპერლიგაში ახლადაღზევებულ „სებათში“ გახლდათ. ზაზა იქ ერთ-ერთმა თურქმა აგენტმა მიიწვია. ქართველ ფეხბურთელთან კლუბის პრეზიდენტსა და მწვრთნელს ულაპარაკიათ და შეთანხმებულან, რომ ზირაქიშვილი ორშაბათს ისევ „სებათში“ იქნება და რამდენიმე ვარჯიშს ჩაატარებს — მოკლედ, ზირაქიშვილს ვარჯიშებზე გამოცდიან და ტრანსფერის საკითხიც მერელა გადაწყდება.

**დავით თავართქილაძე**

რეკლამა სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# დაანებეთ ჩვენს სოლს თავი!

## შეთქმულება კემპბელის წინააღმდეგ

*განრისხებული „არსენალი" მზად არის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან იომოს — საქმე სოლ კემპბელის გაძევებას ეხება*

კემპბელი, რომელიც ხორვატიასთან ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ინგლისის ნაკრებში გამოძახებული კი გახლდათ, მაგრამ მხრის ტკივილის გამო იძულებული შეიქნა შინ დაბრუნებულიყო, კლუბისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და არსენალელები მის დაცვას ვიდეომასალით აღჭურვილნი აპირებენ.

კემპბელი „მანჩესტერ იუნაიტედთან" „ჩერითი შილდის" შეხვედრაში, 10 დღის წინ გააძევეს. მიზეზი: მან მანჩესტერელ ჯემბა-ჯემბას უხეშობაზე შური წიხლით იძია.

„არსენალის" ოფიციალურ განცხადებაში წერია: „ჩვენ საქმის გარჩევას და მონაწილეთა პირად მოსმენას ვითხოვთ. პირადი მოსმენა სოლ კემპბელის უდანაშაულობას დაადასტურებს".

„არსენალის" თავკაცი არსენ ვენგერი: „ვატყობ ვიღაცას სოლის მაისამდე თავიდან მოშორება განუზრახავს. არ ვიცი რატომ, მაგრამ მართლა მრჩება შთაბეჭდილება, რომ ადამიანთა ჯგუფი კემპბელს დევნის და თუ მას დისკვალიფიკაციას მიუსჯიან, ეს საშინელი ფარსი გამოვა. მართალია, ჯემბა-ჯემბას უხეშობაზე მას პასუხის გაცემა არ მართებდა, მაგრამ მეორე მხრივ, იმ უხეშობის შემდეგ ორი დღე სიარულიც კი ვერ შეძლო. ერთი სიტყვით, მხოლოდ სოლი რომ დასაჯონ, უნამუსობა იქნება".

27 წლის კემპბელი ამ მატჩის შემდეგ, პრემიერლიგის პირველ ტურში, ევერტონელ თომას გრავესენის წინააღმდეგ უხეშობისთვისაც გააძევეს და ახლა, თუ ჯემბა-ჯემბას და გრავესენის ამბავი დაჯამდება, მას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის. საინტერესოა, რომ „ჩერითი შილდზე", „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრა მისთვის ლამის ოთხი თვის მანძილზე პირველი იყო, რადგან გასული სეზონის ბოლო ოთხი მატჩიც... დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა და მაშინაც... „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელთან, ოლე გუნარ სოლსკიაერთან ინციდენტის გამო.




ნახე, როგორ ჩამარტყა!
სოლ კემპბელი ერიკ ჯემბა-ჯემბას იქით ადანაშაულებს

„სოლის მიერ კარდიფში ჩადენილს ძალადობა რომ უწოდონ, გაპამპულდებიან — ამბობს „არსენალის" ყოფილი კაპიტანი ფრენკ მაკლინტოკი — ეს ყველაფერი დევიდ ბექემის და დიეგო სიმეონეს ინციდენტს მაგონებს, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან. ამ შემთხვევაშიც, პრობლემის მთავარი გამომწვევი მშრალად ამოვა წყლიდან. იმის ნაცვლად, რომ ჯემბა-ჯემბას საქციელი განიხილონ, კემპბელის პასუხს იხილავენ? მე თუ მკითხავთ, იმ ინციდენტში კემპბელი ყვითელ ბარათს იმსახურებდა და მეტს არაფერს".

გავიხსენოთ მაკლინტოკი — იგი „მეთოფეებს" 1971 წელს კაპიტნობდა, როდესაც ლონდონელებმა ინგლისის ჩემპიონის წოდებაც მოიპოვეს და ფეხბურთის ასოციაციის თასიც. იგი განაგრძობს:

„იმის ვარაუდი, რომ კემპბელს მსაჯები ძალად უფუჭებენ საქმეს, სისულელეა. უბრალოდ, ამ ბიჭს ცუდი დროება უდგას. მან და ვენგერმა, ეტყობათ, „მანჩესტერ იუნაიტედთან" წინა სეზონში გაძევების ამბავი ვერ მოინელეს, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ, უნდა დაივიწყონ, რაც მოხდა. არის ხოლმე, ცხოვრებაში ყველაფერი ნავსად რომ მიგიდის, მაგრამ უნდა სძლიო, თავი ხელში უნდა აიყვანო".

**ბაპუნა ძიდია**

# ალ ჯაზირა ან ჩინეთი

## გაზაც არაბეთს მიდის



პოლ გესქოინის ახალი გაჩერება მისი კარიერის დაუსრულებელ სადგურებზე ახლო აღმოსავლეთში იქნება.

აბუ დაბის კლუბი „ალ ჯაზირა" აცხადებს; რომ სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებს გაზას არაბეთის საამიროებში გადასაყვანად.

მაგრამ 36 წლის გესქოინს ჯერ არ გაურკვევია თავისი საქმეები ჩინურ „განსუ ტიანმასთან", რომელიც თან მიატოვა და თანაც ხელფასს ეაჯება. საქმე ფიფას ხელშია. გაზა უარობს ჩინეთში დაბრუნებას, კლუბი კი ამბობს, მანამდე არაფერს მივცემ, სანამ არ ჩამოვაო.

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. IV ტური**

ამიენი 0:0 ისტრი
ბეზანსონი 1:1 გენიონი
კაენი 0:0 გრენობლი
კლერმონი 0:1 ნიორი
კრეტეი 1:0 სენტ ეტიენი
ლორიანი 2:0 ნანსი
რუანი 3:1 ანჟერი
სედანი 2:0 შატორუ
ვალანსი 1:2 ლე ავრი
ტრუა 0:0 ლავალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიორი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ისტრი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ამიენი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 10 |
| ლორიანი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| ვალანსი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:3 | 6 |
| რუანი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| ტრუა | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| სენტ ეტიენი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ბეზანსონი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| სედანი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| კლერმონი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ლე ავრი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| კრეტეი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:5 | 5 |
| შატორუ | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| გენიონი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| გრენობლი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| კაენი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| ლავალი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ნანსი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:3 | 2 |
| ანჟერი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

**შესარჩევი ეტაპი**

**IX ჯგუფი**

სერბეთი 3:0 უელსი
1:0 მატიჩი (11), 2:0 ლაზოვიჩი (50), 3:0 მილოვანოვიჩი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| სერბეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:8 | 13 |
| ფინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:9 | 7 |
| უელსი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| აზერბაიჯანი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:15 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

**ირლანდია 2:1 ავსტრალია**

0:1 ვიდუკა (49), 1:1 ოში (74), 2:1 მორისონი (80)

ირლანდია: კოლგანი, კარი (მარტი 57), ბრინი (ობრაიენი 46), კანინგემი (დანი 84), ოში, ჰოლანდი (მელი 20), კინსელა, ფინანი (კილბეინი 67), დაფი (ქუინი 79), კინი (კონოლი 43), დოჰერტი (მორისონი 57)

ავსტრალია: შვარცერი, ნეილი, პოპოვიჩი, ლაზარიდისი, ემერტონი, ოკონი (გრელა 67), ბრეშიანო, ტიატო (ვიდმარი 69), ვიდუკა (ალოიზი 78), ჩიპერფილდი, მუსკატი

მსაჯი: კარელ ვიდლაკი (ჩეხეთი)
40 000 მაყურებელი

**ლუქსემბურგი 1:1 მალტა**

1:0 შტრასერი (53პ), 1:1 გიგლიო (54)
მსაჯი: ჯერალდ ლენერი (ავსტრია)
2 000 მაყურებელი

## მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი ფინეთი

**A ჯგუფი. III ტური**

ჩინეთი 3:3 მექსიკა
კოლუმბია 9:1 ფინეთი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 3 | 2 | 1 | 0 | 11:2 | 7 |
| მექსიკა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:12 | 3 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:7 | 1 |

*კოლუმბია და მექსიკა გავიდნენ მეოთხედფინალში*

**B ჯგუფი. III ტური**

ნიგერია 0:1 არგენტინა
ავსტრალია 0:2 კოსტა რიკა

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ნიგერია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

*არგენტინა და ნიგერია გავიდნენ მეოთხედფინალში*

# მე ცხენი ჩემთვის მინდა

## ფერგიუსონი სასამართლოში აჭიხვინდება



ალექს ფერგიუსონი ამ ცხენს ვერ შეელევა

ალექს ფერგიუსონი მზადაა 80 მილიონიან საქმეში გაჰყოს თავი. ოღონდ კი სუპერცხენი „როკ ოფ გიბრალტარ" ხელში ჩაიგდოს. ცხენის პატრონები (როკმა გასულ წელს პირველი ჯგუფის შვიდი რბოლა მოიგო, რაც რეკორდია) აქამდე ფერგიუსონი და ირლანდიელი მილიონერის, ჯონ მეგნიერის მეუღლე სიუ გახლდნენ (ცხენმა პატრონებს 1,2 მილიონი მოუტანა), მაგრამ, როგორც გაირკვა, მათ შორის გაუგებრობას წამოუყვია თავი და ახლა საქმე ცხენის ერთმანეთისთვის წაღლეტაზეა.

ფერგიუსონი ბოლო წამამდე ცდილობდა საკითხის სასამართლომდე არმიყვანას და ყოფილ პარტნიორებს რაღაც პროცენტებსა და ვარიანტებს სთავაზობდა, მაგრამ როგორც ჩანს, ასე იოლად ვერ დამთავრდება.

საინტერესოა, რომ მეგნიერი და კიდევ ერთი ცხენის პატრონი, ირლანდიელი, ჯეი პი მაკმანასი „მანჩესტერ იუნაიტედის" მეწილენიც ბრძანდებიან. ამბობენ, რომ სასამართლოს ნებისმიერმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა საფეხბურთო კლუბის ბედს დაასვას დაღი.

**ბაპუნა ძიდია**

სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49



# ჩვენ არ ვიეჭვიანებთ, დევიდ!
## ბექემი ზიდანს შიშზე ელაპარაკა

**დევიდ ბექემს** ზინედინ ზიდანისთვის უთქვამს, „რეალის“ ვარსკვლავთა მილებისა მეშინოდაო. როგორც ჩანს, ინგლისის ნაკრების კაპიტანი მართლა ღელავდა მადრიდში მისვლის წინ. ეს საუბარი, ზიდანსა და ბექემს შორის, „რეალის“ შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს შემდგარა და ფეხბურთელებს თარჯიმანი დახმარებიათ.

„ბექემმა მიამბო, თუ რამდენად დაძაბული იყო, რადგან არ იცოდა, „რეალში“ ფეხბურთელები როგორ მიიღებდნენ. იგი შიშობდა, რომ ყველაფერი, რაც მის შესახებ თქმულა და დაწერილა, ახალ ბიჭებთან ურთიერთობაში ხელს შეუშლიდა და ჩვენგან ეჭვიანობას ან მკაფიოდ ცივ დამოკიდებულებას ელოდა — თქვა ზიდანმა — ჩემი პასუხი ის გახლდათ, რომ სანერვიულო არაფერი ჰქონდა. მე და რონალდო ბიჭებმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე მიგვიღეს და ბექემიც ყოველ დღე რწმუნდებოდა, რომ სირთულე არც მას ელოდა. ის მორცხვი და უთქმელი კაცია, მაგრამ ფაქტია, ჩვენს შორის ადგილს დაიმკვიდრებს. მერედა, მოედანზე მისი ტექნიკა, პლუს ინგლისური ბრძოლისუნარიანობა ხომ დიდად გამოგვადგება. გულწრფელად გეუბნებით, მისადმი ყოველმხრივ კარგი დამოკიდებულება გვაქვს და ერთმანეთის უკეთ გაგებას ვაპირებთ. მე, მაგალითად, ახალ ადამიანს და თამაშის ახლებურ ვარიანტს ვეცნობი“.

შემდეგ საფრანგეთის ნაკრებისა და „რეალის“ გამთამაშებელმა თქვა, რომ ბექემის დამატება მას, რონალდოს და ფიგუს განსაკუთრებით შეუწყობს ხელს:

„ბექემის ჩამოსვლა ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს ოდნავ ნაკლებ შემოქმედებას მოსთხოვენ, ანუ ფუნქციები გადანაწილდება. ახლა თითოეული თავისებური ლიდერი გახდება და არ იქნება ერთი კაცი, ვისაც თამაშის გალამაზებას და წარმართვას პირადად დაავალებენ. ამ სეზონში ხალხი ჩვენგან მეტს მოითხოვს, მაგრამ ამაზე არ ვღელავ“.

**ბაპუნა ძიძია**

# კონტრაქტი ორ წუთში
## ჰასან, დარჩი ჩვენთან

*26 წლის ჰასან სალიჰამიჯიჩმა მიუნხენის „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა — ბოსნიელი ახლა „ბაიერნს“ 2007 წლამდე ეკუთვნის.*

*სალიჰამიჯიჩს ბოლო ერთი წელი, ფაქტობრივად, გაუცდა — ჯერ მყესი გაუწყდა და ოთხი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს, მერე კი ახალგამოჯანმრთელებულს კვლავ მყესმა უმტყუნა და რვა თვე „დაისვენა“.*

*ეს მცირე ინტერვიუ კი „ბაიერნის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა*

— 2007 წელს თქვენ თითქმის პენსიონერი იქნებით...

— მე ჯერაც ახალგაზრდა ვარ, ხოლო კონტრაქტის დასრულებისას 30 წლის ვიქნები და კვლავაც დამრჩება დრო, რათა „ბაიერნში“ თამაში გავაგრძელო. თუმცა მანამდე გრძელი გზაა გასავლელი.

— თქვენ იმპულსური პიროვნება ხართ — როგორ წარიმართა მოლაპარაკებები კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ?

— უცბად მოვერგე სიტუაციას, სალაპარაკოდ ადვილი რაუნდი გადამხდა. მოკლედ, ახალ კონტრაქტზე ხელმოწერამ ორ წუთზე მეტი თუ წამართვა.

— ამას წინათ, კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, ვინც ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს „ბაიერნთან“, ,აუცილებლად არ უნდა ელოდოს ხელფასის გაზრდასო. რა მოხდა თქვენს შემთხვევაში?



— თუ დღევანდელ ეკონომიკურ სიტუაციას გავითვალისწინებთ, დღევანდელით ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ახალი კონტრაქტით.

# მომეცით დრო და მოედანი
## კმაყოფილი პორტილიოს უკმაყოფილება

*ვარსკვლავებით დახუნძლულ მადრიდის „რეალში“ ადგილის შენარჩუნება არცთუ ისე იოლი საქმეა და ჭაბუკ მობურთალ ხავიერ პორტილიოსაც სუპერკონკურენტებთან უწევს საქმის დაჭერა (მის პოზიციაზე რონალდო და რაული თამაშობენ). მიუხედავად ამისა, ხავიერი 2003-04 წლების პრიმერადივიზიონს იმედით უცქერს და კლუბის თავკაცობისა თუ ინჩასობის წინაშე თავისი საფეხბურთო სიჩაუქის დასამტკიცებლად გამალებით ემზადება. პორტილიოს მადრიდული „ასის“ ჟურნალისტი ესაუბრა*



**— ახალ სეზონს სრული საბრძოლო შემართებით ეგებებით?**

— ამჟამად კარგ ფორმაში ვარ. საწვრთნელი ვარჯიშები კეიროშის ხელმძღვანელობით შესანიშნავად მიმდინარეობს და ახალი მწვრთნელის საქმისადმი მიდგომაც ძალიან მომწონს. გუნდთან ერთად სერიოზულად ვემზადები და უკვე შემიძლია, გითხრათ, რომ მომავალ პრიმერაში უქმად ყოფნას ნამდვილად არ ვაპირებ.

**— აზიური სეზონთაშორისის დროს რონალდოს შემცვლელად მორიენტესი მოიაზრებოდა. თქვენც და ფერნანდოც კონკურენციის მხრივ არასახარბიელო სიტუაციაში იმყოფებით...**

— ერთადერთი, რაც მჭირდება, არის ის, რომ მოედანზე ჩემი შესაძლებლობების საჩვენებლად უფრო მეტი დრო მომცენ. ფერნანდო მორიენტესისა და ჩემი უშუალო კონკურენტები მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელები — რაული და რონალდო არიან და წარმოიდგინეთ, ამგვარ გუნდში საკუთარი ადგილის მონახვა რაოდენ ძნელი უნდა იყოს.

**— სხვა გუნდში გადასვლაზე არ გიფიქრიათ?**

— ჯერ „რეალიდან“ წასვლას არ ვფიქრობ. კლუბის ხელმძღვანელობასაც მოველაპარაკე და რამდენიმე საკითხზეც შევთანხმდით, რისი გამხელაც ახლა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია, რომ ამ სეზონში წინა პრიმერას მსგავსად უთამაშებელი დავრჩე.

**— ესე იგი, განვლილი სეზონით უკმაყოფილო ხართ?**

— „რეალის“ მიღწევებით ნამდვილად არ ვარ უკმაყოფილო. რაც შეეხება ჩემს კარიერას, აქ ცოტა სხვანაირად იყო საქმე. გული მწყდება, რომ საერთო ჯამში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ და სხვა სტადიონებზეც მეტად მცირე ხანი დავყავი.

**— მიახლოებით მაინც გვითხარით ვალდანოსთან იმ საიდუმლო შეხვედრის შესახებ...**

— რახან ასეა, ზოგიერთ დეტალს გაგანდობთ: ხორხე ვალდანო პრეზიდენტთან საქმიან აუდიენციას დამპირდა და ისიც მითხრა, მომავალ პრიმერაში მინდორზე უფრო მეტ ხანს დაჰყოფო. სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— კეიროშთან თუ გისაუბრიათ თქვენი პრობლემების შესახებ?**

— ჯერ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ახალი დამრიგებელი აუცილებლად გამიგებს, მან ხომ გუნდში მოსვლისთანავე ყოველ მოთამაშესთან შესანიშნავი ურთიერთობა დაამყარა. ძლიერი სპეციალისტია, „რეალის“ თითოეულ წევრს ბევრ რაღაცას ასწავლის. მთელი გულით ვემადლიერები ამ მონდომებისთვის. მე ხომ ჩემი საფეხბურთო ოსტატობის დახვეწა მინდა.

**— კრიტიკას როგორ იტანთ?**

— თუ მართებულია, სავსებით ნორმალურად. მესმის, რომ ჯერ მხოლოდ 20 წლის ვარ და ძლიერ მობურთალად ჩამოყალიბებისთვის კიდევ მრავალი რამ უნდა ვისწავლო.

**— „რეალი“ კონტრაქტის პირობების გაუმჯობესებასაც შეგპირდათ...**

— როდესაც ჩემი და სამეფო კლუბის სამომავლო თანამშრომლობის ამბავი უნდა გადაწყვეტილიყო, „რეალის“ აზიური ტურნე დაიწყო და საკონტრაქტო საქმეები დროებით გადაიდო. დღეს კი მთელი ყურადღება კლოდ მაკელელესა და გუნდის თავკაცთა უთანხმოებისკენაა მიპყრობილი, იმ მოვლენისკენ, რაზეც საუბარი არ მსურს და ამიტომაც ნურაფერს შემეკითხებით. რაც შეეხება ჩემს ხელფასს, ახლა ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

**— დევიდ ბექემზე რაღას იტყვი?**

— ჯადოსნური კაცია, ბურთს მსოფლიოში ყველაზე საუკეთესოდ ატრიალებს. მოხარული ვარ, რომ ჩვენ გუნდში ასეთი ფეხბურთელი გადმოვიდა.

# პორტუგალიური ზღაპარი
## კარეუ და სპორტინგი დაძმობილდნენ...

**ესპანური** „ვალენსიას“ ნორვეგიელმა თავდასმხელმა იონ კარეუმ ლისაბონის „სპორტინგთან“ რაიმე სატრანსფერო კონტაქტები კატეგორიულად უარყო. „მე ვალენსიაში თამაში და ცხოვრება მომწონს. აქედან წასვლას არსად არ ვაპირებ“ — განუცხადა ახმახმა სკანდინაველმა ესპანურ „მარკას“. შეგახსენებთ, რომ ნორვეგიელის „სპორტინგში“ შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით ამას წინათ დიდი აყიოტაჟი ატყდა. ლუზიტანური გუნდის თავკაცმა ფერნანდო სანტუშმა კი ასეთი რამ თქვა: „ვალენსიელებთან უკვე გვქონდა რამდენიმე შეხვედრა კარეუს თაობაზე. იმედია, მოლაპარაკებები ჩვენთვის დადებითად გადაწყდება“. თუმცა, როგორც უკვე გითხარით კარეუ პორტუგალიელთა იმედიანობას ფრიად გაუკვირვებია და ლისაბონში ბურთაობის პერსპექტივასაც ირონიულად შესცქერის. „პირადად ჩემთვის არავის მოუმართავს. კარგია, პორტუგალიაში ჩემი თამაში რომ მოსწონთ, მაგრამ კარეუს „სპორტინგში“ საქმიანობა, მერწმუნეთ, ახლა ოდენ ლისაბონელი ჟურნალისტების ფანტაზია უფროა, ვიდრე სინამდვილე“ — ლაღად ხუმრობს „მესტალიას“ მკვიდრი.

ყველაფერი ეს ორომტრიალი კი აი, რამ გამოიწვია — „სპორტინგს“ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ (მართალია, სრული სათამაშო-სავაჭრო წესების დაცვით) წაჰგვარა ერთი დიდებული ახალთახალი საფეხბურთო ბრილიანტი, სახელად კრისტიანო რონალდო, რომელსაც, მიუხედავად ასაკისა, უკვე თავის დიდ სეხნიაზე უკეთეს თუ არა, მსგავს კარიერას მაინც უწინასწარმეტყველებენ. პოდა, ფერნანდუ სანტუშიც ახალგაზრდა რონალდოს მწარედ მოისაკლისებს და მის კომპენსაციას კარეუთი ან სხვა ვინმე განთქმული თავდამსხმელით ლამობს.



**ლადო ხომერიძე**

# სასტუმრო „ლაციოში" ნომრები თავისუფლდება



დეიან სტანკოვიჩი

**„ჩვენი სატრანსფერო** პოლიტიკით კმაყოფილები ვართ. ერთადერთი, რაზეც ვოცნებობთ, დეიან სტანკოვიჩის გადმობირებაა. იგი საუცხოო ფეხბურთელია" — რამდენიმე დღის წინ თქვა ტურინის „იუვენტუსის" ტექნიკურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ. „ბებერ ქალბატონს" მართლაც ძალიან სურდა „ლაციოს" ნახევარმცველის შეძენა, მაგრამ მას „მილანი" და „ინტერი" ეცილებოდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, სამივე იტალიური გრანდი ხახამშრალი დარჩება, რადგანაც, როგორც ვარაუდობენ, დეიან სტანკოვიჩი „ლაციოსთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს და 2008 წლის 30 ივნისამდე რომაული კლუბის საკუთრება იქნება. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ყოფილი ფეხბურთელი სეზონში 1,7 მილიონ გირვანქას მიიღებსო, უკვე იმასაც ამბობენ.

მოქმედი კონტრაქტით, სტანკოვიჩმა კიდევ ერთი წელი უნდა გაატაროს „სტადიო ოლიმპიკოზე", რის შემდეგაც თავისუფალი აგენტი გახდება. ასე რომ, დედაქალაქური კლუბი რამეს რომ გამორჩეს, ან ახლავე უნდა შეელიოს თავის ნახევარმცველს, ანაც მასთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს. როგორც ჩანს, რომაელები ვერ მოიხიბლნენ სხვა გუნდების მიერ შეთავაზებული წინადადებებით და მეორე ვარიანტი ამჯობინეს.

ამ ვარიანტს ალბათ არც თავად სერბი შეეწინააღმდეგება, რადგან ყოველთვის ამბობდა, რომ სიამოვნებით დარჩებოდა „სტადიო ოლიმპიკოზე" კიდევ დიდი ხნით და არც კარიერის რომში დასრულებაზე იტყოდა უარს.

ამასობაში გაისკა მენდიეტამ რომი დატოვა და ინგლისს მიაშურა. საქმე ისაა, რომ „ლაციო" და „მიდლსბრო", როგორც იქნა, შეთანხმდნენ და მენდიეტა იჯარით გადავა „რივერსაიდზე", სადაც მინიმუმ ერთ სეზონს მაინც გაატარებს.

კიდევ ერთი აწ უკვე ყოფილი ლაციოელი დინო ბაჯო კვლავინდებურად ინგლისშია და ნავსაყუდელს „ნისლიან ალბიონზე" ეძებს. შეგახსენებთ, რომ რომაელებმა ბაჯოსთან კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ ისურვეს, რის შემდეგაც მისით „ვულვერჰემპტონი" დაინტერესდა. თუმც მხარეები ვერ შეთანხმდნენ. ახლა კი იტალიელი პრემიერლიგის პირველ ტურში სწორედ „მგლების" გამანადგურებელ „ბლექბერნ როვერსს" დაუკავშირდა. ერთ დროს „სკუადრა აძურას" უცვლელი წევრი ოთხი დღე ივარჯიშებს გრემ სუნესის გუნდთან ერთად და ყველაფერი ამის მერე გადაწყდება.

ბოლოს კი ლუკას კასტრომანზეც ვთქვათ. „ლაციომ" იგი თავის ყოფილ კლუბ „ველეს სარსფილდში" დააბრუნა. ამ ტრანსფერიდან რომაელები ვერაფერს მიიღებენ, რადგან არგენტინელის კონტრაქტის 50 პროცენტი ჯერ კიდევ დასაფარი აქვთ.

„ლაციოში" 2001 წელს გადასული კასტრომანი ვერ ჩაჯდა რომაელთა სათამაშო სქემაში და კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა. ამ ზაფხულს მის გადაბირებას „უდინეზე" აპირებდა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რის შემდეგაც არგენტინელმა ნახევარმცველმა თავი ისევ ყოფილ კლუბს შეაფარა.

**გიორგი ძაძამიძე**



ლუკას კასტრომანი




# მილანი ა-კაკა-ნდა

**„მილანმა"** 5,3 მილიონი ევროს სანაცვლოდ „სან პაულუდან" 21 წლის რიკარდუ იზეშონ სანტუშ ლეიტე ანუ უბრალოდ, კაკა შეიძინა. ამ უკანასკნელის გადაბირება „შავ-წითლებს" კარგა ხანია, სურდათ და კონკურენტებიც ჰყავდათ, მაგრამ ყველაფერი ანჩელოტის გუნდისთვის სასიკეთოდ დასრულდა.

| 21.00 | 351 | სტაბეკი-მოლდე | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| 21.00 | 352 | ალესუნდი-ლინი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| 23.30 | 353 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 2,05 | 3,5 | 2,9 | 1,29 | 1,2 | 1,58 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **ვეიკაუსლიგა** | | | | | | |
| | | **XIII ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 367 | ალიანსი-იოკერიტი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIV ტური | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 369 | ტამპერე-კტპ | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 370 | ტამპერე-კტპ 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **ჩეხეთი.** | | | | | | |
| | | **გამბრინუს ლიგა** | | | | | | |
| | | **V ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 428 | სლავია-იაბლონეცი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 429 | სლავია-იაბლონეცი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 430 | სიგმა-სპარტა | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 17.25 | 431 | ჟიჟკოვი-ბანიკი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 20.15 | 432 | ოპავა-პრჟიბრამი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 20.15 | 433 | ბუდეიოვიცე-ტეპლიცე | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 20.15 | 434 | სინოტი-ზლინი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20.15 | 435 | ბლშანი-პლზენი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 19.40 | 436 | ლიბერეცი-ბრნო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **I ლიგა** | | | | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **III ტური** | | | | | | |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 23.15 | 473 | ვისლა-გურნიკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 474 | ვისლა-გურნიკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 475 | კატოვიცე-სვიტი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 476 | კატოვიცე-სვიტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.00 | 477 | ოდრა-ვიძევი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 478 | ლეჩნა-გროცლინი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 22.00 | 479 | ლეხი-პლოცკი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 20.30 | 480 | პოლკოვიცე-ამიკა | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 22.15 | 481 | პოლონია-ლეგია | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **სერია A** | | | | | | |
| | | **XXVII ტური** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 04.30 | 502 | ინტერნასიონალი-ფლუმინენსე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 503 | ინტერნასიონალი-ფლუმინენსე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 04.30 | 504 | გუარანი-ატლეტიკო მგ | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **სუპერთასი** | | | | | | |
| | | **I მატჩი** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 24.00 | 607 | მალიორკა-რეალი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 5501 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5502 | ბოლტონი-ბლეკბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5503 | ჩელსი-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5504 | ევერტონი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5505 | სიტი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5506 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5507 | ტოტენჰემი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5508 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5509 | აინტრახტი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5510 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5511 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5512 | ვერდერი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5553 | კიოლნი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5514 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5515 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 5516 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 5517 | მიდლსბრო-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5518 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 5001 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 19.00 | 5002 | ბოლტონი-ბლეკბერნი | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 19.00 | 5003 | ჩელსი-ლესტერი | 1,45 | 3,3 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,29 |
| 19.00 | 5004 | ევერტონი-ფულემი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 19.00 | 5005 | სიტი-პორტსმუთი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 19.00 | 5006 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 19.00 | 5007 | ტოტენჰემი-ლიდსი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 19.00 | 5008 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 18.30 | 5009 | აინტრახტი-ჰერტა | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 18.30 | 5010 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 18.30 | 5011 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 18.30 | 5012 | ვერდერი-შალკე | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 18.30 | 5013 | კიოლნი-დორტმუნდი | 4,2 | 2,1 | 2,4 | 1,4 | 1,52 | 1,12 |
| 18.30 | 5014 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 18.30 | 5015 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 5016 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 20.05 | 5017 | მიდლსბრო-არსენალი | 4,8 | 2,15 | 2,2 | 1,48 | 1,5 | 1,08 |
| 20.00 | 5018 | ჰამბურგი-ბაიერნი | 4,6 | 2,1 | 2,3 | 1,44 | 1,53 | 1,09 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | |
| 16.00 | 5301 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5302 | ბოლტონი-ბლეკბერნი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5303 | ჩელსი-ლესტერი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5304 | ევერტონი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5305 | სიტი-პორტსმუთი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5306 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5307 | ტოტენჰემი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5308 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 5309 | აინტრახტი-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5310 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5311 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5312 | ვერდერი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5313 | კიოლნი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5314 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5315 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| | | **24 აგვისტო** | | |
| 18.00 | 5316 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1,75 | 1,85 |
| 20.05 | 5317 | მიდლსბრო-არსენალი | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5318 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | |
| 16.00 | 5201 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5202 | ბოლტონი-ბლეკბერნი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5203 | ჩელსი-ლესტერი | 2,0 | 1,6 |
| 19.00 | 5204 | ევერტონი-ფულემი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5205 | სიტი-პორტსმუთი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5206 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5207 | ტოტენჰემი-ლიდსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5208 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 1,85 | 1,75 |
| 18.30 | 5209 | აინტრახტი-ჰერტა | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5210 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5211 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5212 | ვერდერი-შალკე | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5213 | კიოლნი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5214 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5215 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 1,95 | 1,65 |
| | | **24 აგვისტო** | | |
| 18.00 | 5216 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 20.05 | 5217 | მიდლსბრო-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5218 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 5101 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 19.00 | 5102 | ბოლტონი-ბლეკბერნი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 5103 | ჩელსი-ლესტერი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 6,0 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 19.00 | 5104 | ევერტონი-ფულემი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 5105 | სიტი-პორტსმუთი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5106 | საუთჰემპტ.-ბირმინგემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 5107 | ტოტენჰემი-ლიდსი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 5108 | ვულვერჰემ.-ჩარლტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.30 | 5109 | აინტრახტი-ჰერტა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,6 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.30 | 5110 | ფრაიბურგი-მ.გლადბახი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,6 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 5111 | შტუტგარტი-კ.ლაუტერნი2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 | |
| 18.30 | 5112 | ვერდერი-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,6 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 18.30 | 5113 | კიოლნი-დორტმუნდი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,6 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 18.30 | 5114 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,6 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 5115 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,6 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| | | | | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 5116 | ა.ვილა-ლივერპული | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 20.05 | 5117 | მიდლსბრო-არსენალი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,6 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 20.00 | 5118 | ჰამბურგი-ბაიერნი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,6 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |

# თვითიდენტიფიკაციის პრობლემა სპორტის დედოფალმა ვინაობა დაკარგა

*საქმეში ჩახედულ მკითხველს დასტურ ეცოდინება, რომ ამ შაბათს პარიზში მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა დაიწყოს.*

*თუკი მკითხველი საქმეში იმაზე მეტადაცაა ჩახედული, რაიც რიგით მკითხველს მოეთხოვება, მაშინ მან ისიც უნდა იცოდეს, რომ ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფრანგთა სეფექალაქი მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) ორდღიან კონგრესსაც უმასპინძლებს*



**კონგრესი** გუშინ დაიწყო და IAAF-ის პრეზიდენტ ლამინე დიაკს გადაწყვეტილი აქვს, მასზე „მსოფლიო მძლეოსნობის საგანგებო გეგმით" წარდგეს. ამ დოკუმენტის უმთავრესი მიზანი ის იქნება, რომ „სპორტულ ბაზარზე" სხვა სახეობათაგან შევიწროვებულ მძლეოსნობას ჩიხიდან გამოსვლის რაციონალური, თანამედროვეობასთან ადაპტირებული გზები დაუსახოს.

მსოფლიო მძლეოსნობის მახვშები მათი სპორტის უმთავრეს პრობლემად მის „ევროპეიზაციასა" და — იმავდროულად — „დეამერიკანიზაციას" მიიჩნევენ. ანუ, სხვა სიტყვებით, მძლეოსნობა სულ უფრო და უფრო შორდება ამერიკას და სულ უფრო და უფრო მეტად „იკიდებს ფეხს" ევროპაში.

ამის საილუსტრაციოდ ისიც იკმარებდა, რომ მსოფლიოს წინა რვა ჩემპიონატიდან ექვსს სწორედ ევროქვეყნებმა უმასპინძლეს, მეცხრე აგერ, პარიზში შედგება, ხოლო მომდევნო პირველობას ისევ პირველი ჩემპიონატის მასპინძელი ჰელსინკი მიიღებს.

აშშ-ში მძლეოსნობას მინიმალური ყურადღება ექცევა — სარბენ ბილიკებსა და სხვა სამძლეოსნო სარბიელებს ქომაგი მზერას მხოლოდ საოლიმპიადო წლებში თუ აპყრობს. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ პლანეტის წამყვან სამძლეოსნო ქვეყანაში აქამდე ერთი მსოფლიოს ჩემპიონატიც არ გამართულა.

„ჩვენ ახლა გზაჯვარედინზე ვართ — ამბობს IAAF-ის შავანი ბობოლა წარმომადგენელი — ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, მძლეოსნობა მსოფლიო სპორტია თუ მხოლოდ ევროპის მასშტაბის სახეობა."

გარდა ამ ფუნდამენტური კითხვისა, კონგრესზე შეკრებილი გვამები მძლეოსნობაში ბავშვთა უფრო ძალუმად მიზიდვისა და კიდევ იმის შესახებაც იმსჯელებენ, რომ ლონდონის მარათონის დარ ხალხმრავალ, სასეირო რბოლებს უფრო სარფიანად „გაყიდვა" სჭირდება.

კონგრესი არ შეეხება ორი კენიელი მორბენლის მიერ უფრო დიდი ხელფასის მიღების მიზნით მოქალაქეობის გამოცვლის ფაქტს. ეს ამბავი სულ ახლახან მოხდა: შორმრბოლებმა — სტივენ ჩერონომ და ალბერტ ჩეპკურუიმ თავიანთი სამშობლო ყატარულ სამოთხეზე გაცვალეს. ჩეპკურუი უკვე აჰმად ჰასან აბდულაჰია, ხოლო ჩერონო ამბობს, რომ ყატარში მათ 1000-1000 დოლარს აძლევენ — რაიც კენიისთვის (ჰმ!) წარმოუდგენელი ფუფუნებაა.

როგორც IAAF-ის გენმდივანმა იშტვან დიულაიმ განაცხადა, საბჭოს რამდენიმე წევრმა „შეშფოთება გამოხატა ამ წყვილის მიერ მოქალაქეობის შეცვლასთან დაკავშირებით". „ჰო, ათლეტთა სხვა ქვეყნებში გადინება მართლაც ურიგო ამბავია — თქვა მან — მაგრამ IAAF-ის წესებში ჩახედვის შემდეგ ისე ვარჩიეთ, რომ ამის შესახებ მომდევნო კონგრესზე ვიკამათოთ."

**ძარლო ბოგოლი**

# რეკორდი არ მჭირდება

## გრინი მსოფლიოს ჩემპიონობაზეც ყაბულსაა

*ეჭვი არაა, გეხსომებათ მორის გრინი, რომელმაც შარშანდელ მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე 100 მეტრში მსოფლიოს რეკორდი ტიმ მონტგომერის კი დაუთმო, მაგრამ ჯერაც მსოფლიოს ჩემპიონია და, სხვათა შორის, კიდევ უნდა მსოფლიოს ჩემპიონობა*



შარშანწინ ედმონტონში მორის გრინმა ტიმ მონტგომერის „მსოფლიო" ოქროსთან მიასწრო. რას იზამს პარიზში?

ამ შაბათს პარიზში მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატი იწყება მძლეოსნობაში. გრინი ამბობს, ზედიზედ მეოთხედ მოვიგებ 100-მეტროვან „სამეფო" გარბენს და კარლ ლუისს ვაჯობებო. 100 მეტრის მოგება ერთხელაა ძნელი, გრინი კი ზედიზედ სამი ჩემპიონატის 100 მეტრის ფინალში მიჭრილა სხვებზე წინ და ახლა, ჯერ არც ისე ბებერმა — სულ 29 წლისაა — რატომ არ უნდა სცადოს მეოთხედაც გამარჯვება? გრინამდე ლუისი ერთადერთი იყო, ვინც ეს მოახერხა, გრინს კი სულ ერთი გამარჯვება, ერთი მოკლე ბილიკილა დარჩა უნიკალურ რეკორდამდე. მაგრამ...

2001 წლის ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ — ეს მისი მესამე იყო — გრინს ძალზე ბევრი მარცხი დაუგროვდა. ან ედმონტონში როგორ იმარჯვა, ფინალური გარბენის დროს ფინიშამდე ათი მეტრი რომ რჩებოდა, ბარძაყის ერთ-ერთი კუნთი გაუწყდა და ბოლო მეტრები ინერციით მოილია.

მას შემდეგ ერთი ტრავმის მორჩენას ვერ ასწრებდა, მეორე შეემთხვეოდა და ჩაქრა თანდათან მსოფლიოს უსწრაფესი სპრინტერის ვარსკვლავი. ერთი წლის წინ პარიზში ოქროს ლიგის ერთ-ერთ ეტაპზე თანამემამულე ტიმ მონტგომერის რეკორდიც დაუთმო — მონტგომერიმ მის 9.79 წამს 0.01 წამი ჩამოაჭრა.

გრინი არც წლევანდელ გრან პრი-ეტაპებზე ჩანდა მაინცდამაინც, მაგრამ გვეუბნება ტრავმები მოვირჩინე და თუკი არ ჭანდი მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხებს ვზოგავდიო. ამის მიუხედავად, წლეულს მან მაინც მოახერხა 100 მეტრის 10 წამზე ნაკლებ დროში გარბენა — ერთხელ 9.94 წამი აჩვენა. საერთოდ, ეს წელი ლატაკი გამოდგა კარგი შედეგებით, სეზონის რეკორდი გრინის შედეგზე 0.01 წამით ნაკლებია და იქნებ სწორედ კონკურენტთა სისუსტის შეგრძნებამ აანთო ამერიკელი მორბენალი.

„პარიზში მე კიდევ განგაცვიფრებთ — გულზე ჯიღს იცემს გრინი — რეკორდზე არ ვფიქრობ, ამას სალი ფეხები სჭირდება, მაგრამ ამჯერად არ მჭირდება რეკორდი, მე უბრალოდ მოგება მინდა. ვიცი, არც ესაა იოლი, მაგრამ შანსი, თანაც სხვებზე არანაკლები მეც მაქვს. ვფიქრობ, კიდევ შემიძლია ასე, 9.80 წამის ჩვენება."

**ძოტე ყორშია**





# რა ნება-ნება დნება ოცნება

*ახალზელანდიელი მთაკაცის, 196-სანტიმეტრიან და 125-კილოგრამიან ჯონა ლომუს ილუზიას, რომ მსოფლიოს თასზე ითამაშებდა, მისი გაბარიტებისხელა ბზარი გაუჩნდა და იქით კვირაში ნამსხვრევებად იქცევა*

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ლომუს თირკმლის თანდაყოლილი დაავადება — ნეფრიტი სჭირს და ამ ვერაგმა სენმა მისი ვარსკვლავი კარგა ხანია, ჩააქრო. მეტიც, ერთიხანობა რაგბის „ჯინი" საკმაო ხანს არ ვარჯიშობდა, დიალიზის კურსს გადიოდა. ორიოდ კვირაა, რაც ლომუ ვარჯიშს შეუდგა, ითამაშა კიდეც ველინგტონის „ლომების" შემადგენლობაში, მაგრამ მხოლოდ ერთი ტაიმი. მერე თქვა, ისევ ძველი ლომუ ვიქნებიო, მაგრამ...

ველინგტონელებს ამ უქმეებზე ახალი ზელანდიის პროვინციების ჩემპიონატში მორიგი მატჩი აქვთ, თუმც ჯონა საამატჩო 22 კაცშიც ვერ მოხვდა. მიზეზი ფეხის კუნთების ტკივილია, რამაც ჯონას ორი ვარჯიში გამოატოვებინა, ამასთან, ლომუს ჯერ კიდევ სჭირდება დიალიზი (კვირაში ერთხელ იკეთებს) და ამ პროცედურის შემდეგ ერთი დღე მაინც უნდა დაისვენოს.

ველინგტონელთა მწვრთნელმა და ჯონას უფროსმა მეგობარმა ჯონ პლუმტრიმ უვარჯიშებელი მეგირდი სარაგბოდ არ გამოიძახა.

დრო კი არ ითმენს. თვის ბოლოს ახალი ზელანდიის მწვრთნელი ჯონ მიტჩელი სამსოფლიოს თასო შემადგენლობას გამოაცხადებს. ჰოდა, თუ მანამდე ჯონამ ხოტორა მწვრთნელს თავი ვერ მოაწონა, რისი ალბათობაც 0,01 პროცენტია, 28 წლის გოლიათს სამშობლოში დარჩენა მოუწევს.

ისე კი, ახალზელანდიელი ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ სნეულმა ლომუმ დიდი დიდი ერთი ტაიმი ითამაშოს, რითიც მიტჩელს ვერაფერს დაუმტკიცებს. მით უმეტეს, დიალიზამდეც ლომუ ველარ იყო ლელოების „კომბაინი".

**ბაჩო სვანიძე**

# ნადარობა სიტროენის მოლის თავზე
## ორი კვიცის გახსენებით

**დასასრული
დასაწყისი წინა „სარბიელში“**

**ახლა,** სიტროენის პარკში საჰაერო ბურთის მიწაზე დაბრუნების მოლოდინში უქმად რომ არ ვიყურყუტო და მკითხველმაც ცოტა თავი შეიქციოს, იქვე იმ ბურთის ერთგვარ ვაგზალში შევიაროთ, რაც აერონავტიკის თავისებური პატარა მუზეუმია. იქ საჰაერო ბურთებთან დაკავშირებით ნაირგვარი ბროშურა, ძვირფასი ალბომი, პლაკატი და სუვენირი იყიდება. იქვე ვგებულობთ, რომ ცნობილი ავტომეწარმე სიტროენი და პარიზში მისი სახელობის პარკი აერონავტიკას მხოლოდ საჰაერო ბურთით როდი დაუკავშირდა. 1927 წელს, როცა ამერიკელმა ჩარლზ ლინდბერგმა თვითმფრინავით თავისი სამშობლოდან საფრანგეთში ძირსდაუშვებლად პირველმა იფრინა, ამ საქმეში სიტროენმაც საკუთარი წვლილი შეიტანა, როცა ეს ისტორიული სარეკორდო გადაფრენა თუ გადმოფრენა მორალურად და ფინანსურადაც წაახალისა.

ისე, რეკორდები საჰაერო ბურთით ფრენაშიც აღინუსხება, მათ შორის სიმაღლის, სიჩქარის, სიშორის და ფრენის ხანგრძლივობისა. იმ წელიწადს, როცა ლინდბერგის ატლანტის ოკეანეზე გადაფრენას თან სდევდა სიტროენის სარეკლამო შუქი ეიფელის კოშკზე, ინგლისელმა კაპიტანმა ჰოთვორი გრეიმ თავის საჰაერო ბურთზე დაკიდებული ღია გონდოლით 12000 მეტრზე ააღწია.

სამწუხაროდ, გრეის ორგანიზმმა ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლო და დაიღუპა, თუმცა მერე, 1957 წელს ამერიკელი მაიორი დევიდ სიმპსონი საჰაერო ბურთით სტრატოსფეროში 30000 მეტრზეც აფრინდა.

მერე და მერე ხალხმა საჰაერო ბურთით ატლანტის ოკეანესაც გადაუფრინა, დედამიწასაც შემოუფრინა და სხვა ნაირგვარი რეკორდებიც დაამყარა.

სიტროენის პარკში მისულს მე ასეთი თავგადასავლები გეგმაში არ მქონია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქაური ბურთი არსადაც არ დაფრინავს. იგი დედამიწაზეა დაბმული და ლიფტივით მხოლოდ ალმა-დალმა მოძრაობს. თუმცა მისი მგზავრები ამითაც ფრიად კმაყოფილნი არიან. მაგალითად, როცა ბურთიდან გადმოსულები და მის გონდოლში ჩამსხდომნი ერთმანეთს შევეფეთეთ, ციდან ჩამოსულებმა ჟივილ-ხივილით ცერები შემართეს და გვითხრეს, ეს რა კარგი რამ ყოფილა, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი სიამოვნება გელითო.

ალტაცებული ხალხის ჟივილ-ხივილი მაშინ, 1900 წელს უნდა გენახათ, როცა პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ეჟენ მერსიემ თავისი მონსტრივით უშველებელი საჰაერო ბურთი წარმოადგინა, მისი გონდოლა თავისივე წარმოების შამპანურით გამოტენა და ცაში გამოსაჭყეპად ქალბატონები და ბატონები მიიწვია. მსურველნიც მრავლად გამოჩნდნენ და მალე პარიზის ცაში, 300 მეტრის სიმაღლეზე დაკიდებული გონდოლიდან ატყდა შეზარხოშებულთა ყიჟინა და ალტაცებული შეძახილები.

— ო, ეს რა მშვენიერია! — გაიძახოდნენ ერთნი.

— მართლაც ბრწყინვალეა! — კვერს უკრავდნენ მეორენი.

— ეს მართლაც სახალხო ბურთია — ასკვნიდნენ მესამენი.

მერსიეს სახალხო ბურთმა 104 დღის განმავლობაში 20000 კაცს დაანახა პარიზი ჩიტის ფრენის სიმაღლიდან.

სახალხო ბურთის შექმნას სათავე დაუდო ანრი ჟიფარმა. 1867 წელს მან პარიზის გამოფენაზე სამსჯავროზე გამოიტანა ასეთივე დაბმული ბურთი, რომელმაც ფურორი მოახდინა და აფრენის იშტამ თვით საფრანგეთის იმპერატრიცაც ააცუნდრუკა. ამან ანრი ჟიფარს საღერღელი უფრო აუშალა და 1878 წლის პარიზის გამოფენაზე უფრო გრანდიოზული დაბმული სახალხო ბურთი წარმოადგინა. მისი დიამეტრი 36 მეტრი იყო, სიმაღლეში კი 55 მეტრს აღწევდა. მისი გონდოლა 50 კაცს იტევდა და ისინი 600 მეტრის სიმაღლეზე აჰყავდა. ამ ბურთით ჟიფარმა 10 ივლისიდან 4 ნოემბრამდე ცაში 35000 მგზავრი აიყვანა. მერე მისმა მოსწავლე ლუი გოდარმა აკეთა და აკეთა სახალხო ბურთები, რომლებიც 1884-1899 წლებში ლამის მთელს მსოფლიოში გაავრცელა, მათ შორის ჯერ ნიცასა და ტურინში, მერე ბარსელონაში, ბუენოს აირესში, კოპენჰაგენში, ჩიკაგოში, მეხიკოში, ტულონში, ბუდაპეშტში, ლაიფციგში, კაიროში, ჟენევაში...

მაგრამ ვიდრე ყოველივე ამას ვიხსენებ, ოცადგილიან გონდოლაშიც ავედით და ავფრინდით...

ჰო, ახლაღა გამახსენდა, რომ იმ ბურთის გონდოლაში შვილთან და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესცენტრის ხელმძღვანელთან, ახალგაზრდა სპორტულ ჟურნალისტ კახა ბერიძესთან ერთად ვდურთე თავი.

ჩემი შვილი იმ კვიცივით ჩემსავე კვალს მოჰყვება და ამ გზაზე ბურთით ფრენაღა აკლდა, აი, კახა კი რომელი კვიცივით ხტის, ვერ გამიგია. თუმცა, ბიძამისი, ემზარ ზენაიშვილი მახსენდება, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, რამდენიმე წიგნისა და „სარბიელის“ მკითხველისთვისაც კარგად ნაცნობი ავტორი. მართალია, მას საჰაერო ბურთით არ უფრენია და საერთოდ მფრინავი არ არის, მაგრამ მაინც იმდენს დაფრინავს, პროფესიონალ პილოტებსაც კი შეშურდებათ. ერთი ხუმრობს კიდეც, ამ კაცს დაბადების დღეზე თვითმფრინავის სავარძელი უნდა ვუყიდოო...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს უსავარძლო გონდოლას, საიდანაც თვალწინ მშვენიერი, თვალუწვდენელი პარიზის ხედები გადაგვეშალა.

არა, ეიფელის კოშკიდანაც დიდებული ხედი იყო, მაგრამ არ იყო... პარიზი. იქიდან ხომ ეიფელის კოშკი არ ჩანდა, უეიფელო პარიზი კი, აბა, რა პარიზია.

ჰაერში გამოკიდებული სახალხო ბურთის გონდოლიდან კი ეიფელიც ჩანდა და სხვაც ყველაფერი. მეც რაღა დამრჩენოდა, გონდოლიდან ფოტოაპარატმომარჯვებული ტურნაშონივით გადმოვემხე.







პარიზული ნანადარევი

ეს ტურნაშონი ვინღააო, იკითხავს ალბათ მკითხველი.

ტურნაშონი ფრიად ცნობილი ჟურნალისტი, ფოტოგრაფი, აერონაოსანი და მოუსვენარი ვინმე იყო.

მისი ნამდვილი გვარი ტურნაშონია, თუმც ფსევდონიმით უფრო იცნობენ — ნადარი!

დიახ, გასპარ ფელიქს ნადარზე მოგახსენებთ. იგი ამქვეყნად 1820-1910 წლებში იყო, მაგრამ მისი სახელი დღემდე არ დავიწყებიათ. მის სახელს ენციკლოპედიებშიც წააწყდებით, გნებავთ, ფოტოგრაფიულში, გნებავთ, აერონავტიკულში, გნებავთ, ზოგად, საერთო ენციკლოპედიაში.

ტურნაშონის საქმენი საგმირონი იქნებ სამხედრო ისტორიის წიგნშიც ამოიკითხოთ...

თავის დროზე ნადარის სახელი მართლაც ყველა პარიზელსა და ბევრ სხვასაც პირზე ეკერა. ჩემი თუ არ გჯერათ, ერთ მაგალითს გავიხსენებ — 1871 წლის 12 დეკემბერს ვიქტორ ჰიუგოს თავის მეგობრისთვის ბარათი მიუწერია, ჩაუდია კონვერტში და ზედ წაუწერია: „პარიზი, ნადარს!“

ეტყობა, დიდი ფრანგი მწერალი ფიქრობდა, ბავშვმაც კი იცის, ვინ არის ნადარიო. მით უმეტეს, ნებისმიერმა პარიზელმა ფოსტალიონმა იცოდა ნადარის ვინაობა და ასავალ-დასავალი. მისი ასავალ-დასავალი ხშირად ცაში იყო.

ეს მოუსვენარი კაცი თავისი აეროსტატით ცაში რომ აფრინდებოდა, ჯაბახანა ფოტოაპარატსაც გაიყოლებდა ხოლმე. ჰოდა, მაშინაც, 1856 წლის ერთ მშვენიერ დღეს, როცა აეროსტატის გონდოლაში ფეხი ჩაკრა, არც ხის ფოტოაპარატი დავიწყებია. ცაში რომ აიჭრა, გონდოლიდან გადმოემხო და პარიზის სურათები გადაიღო. ნადარმა პირველმა ასე ანახა ხალხს პარიზი ჩიტის ფრენის სიმაღლიდან.

ცხადია, ეს პირველი აეროფოტოგადაღება იყო.

მე ამ საქმეს, ფელიქს ნადარის სახელის უკვდავსაყოფად, „ნადარობა“ ვუწოდე.

ბარემ ამასაც ვიტყვი და დავასრულებ: ნადარმა ფრანგ სწავლულ მიშელ შევროლის დაბადების 100 წელთან დაკავშირებით მოაწყო მასთან ინტერვიუ ფოტოგადაღებებით. მართალია, სურათებს ნადარის შვილი იღებდა, მაგრამ სწორედ ნადარმა დაუკავშირა ერთმანეთს ტექსტი და ფოტო, რითაც სათავე დაუდო ფოტონარკვევს, აქ კი ჩემი პარიზული ნანადარევი ფოტონარკვევიდან სამ სურათს გთავაზობთ, მეტის საშუალებას გაზეთის ფართი არ იძლევა...

**ავთანდილ ბურასაშვილი**
**პარიზი — თბილისი**
**ავტორის ფოტოები**



ანრი ჟიფარის სახალხო ბურთი




მერსიეს ბურთში „მერსიეთი“ შეზარხოშებული საზოგადოება

# ამერიკას წყალი ცხრილით მიაქვს?
## ოცნების გუნდს მგლოვიარე მელოუნი გამოაკლდა

**ამერიკის** შეერთებული შტატების ნაკრები თანდათან ფანტავს ვარსკვლავებს. თუ გავიხსენებთ „დრიმ თიმის" შეკრების მიზეზს — ათენის ოლიმპიადას და იქამდე დარჩენილ წელიწად „მანძილს", იქნებ ეჭვებსაც ავყვეთ და ვიფიქროთ — „ოცნების გუნდს" ოლიმპიადამდე ოცნებასავით გაუფრინდება ეს ვერმეოცნებე ვარსკვლავებიო.

„დრიმ თიმმა" პუერტო რიკოში ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე ჩასვლამდე დაკარგა ჯერ ჯეელი კობი ბრაიანტი და სულ ახლახან კი ბეხრეკი კარლ მელოუნიც. ნბა-ს ნაკრების ხელმძღვანელები კარგა ხანია, შეეგუვნენ ვარსკვლავების უარებს, თუმცა ამ ჯერზე ნაკრებიდან წასულებს საპატიო მიზეზები აქვთ. კობი ბრაიანტი ქალის გაუპატიურების გამო კანონის ხლართებში გაბმულა და იქნებ კიდეც ურჩევნია ამ აგვისტოში ცხელი პუერტო რიკოს ჭუჭყიან სან ხუანში ყოფნა, მაგრამ მას არჩევანი არ აქვს. კარლ მელოუნს კი სულ ახლახანს დედა გარდაეცვალა და „ფოსტალიონიც" ნიუ იორკიდან არკანზასში გაფრინდა, რათა მშობელი უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა.

საზოგადოდ, ამერიკას კალათბურთის ვარსკვლავები არ აკლია და ორი, გინდაც, უძლიერესი მოთამაშის გამოკლება ნბა-ს ნაკრებს არ დააკოჭლებს. მთვარი ხალისი და ერთად თამაშის სურვილია, რის ჩანერგვასაც ცდილობს „დრიმ თიმის" თავკაცი ლარი ბრაუნი თავის შეგირდებში. დანაკლისი კი არცთუ ურიგო ბიჭებით შეივსო. ბრაიანტის ნაცვლად ნაკრებში მისივე გაქანების და უფრო მაღლაც მფრენი ვინს კარტერი მივიდა. კარტერს ბოლო ხანს ტრავმები რომ არ მისძალებოდა, თავიდანვე გამოიძახებდნენ „დრიმ თიმში". თანაც, ეს ბიჭი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ძლივს გამარჯვებულ ამერიკელებში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

რაც შეეხება მელოუნს, პუერტო რიკოში მის ნაცვლად ითამაშებს „ნიუ ჯერსი ნეთსის" მოზვერა თავდამსხმელი კენიონ მარტინი. „შესანიშნავია. ნაკრები რაღაც ახალი რამაა და მიხარია, რომ ჩემს ქვეყანას რაიმეთი გამოვადგები" — ამბობს მარტინი. არადა, თავდაპირველად ის უარზე იყო, ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავდა და ამბობდა, რა მეთამაშებაო, მაგრამ თავად ცოლს დაუყოლიებია, მიდი, ითამაშე და სახლში ოლიმპიური ოქრო მოიტანეო.

ოქრო, ცხადია დიდი და სასურველი ჯილდოა, ოღონდ კენიონ მარტინს ალბათ არ შეხვდება ათენური მედალი, არა იმიტომ, რომ მისი ქვეყნის რჩეული ბიჭები პუერტო რიკოს შესარჩევ ტურნირში, ანაც ათენში ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩებიან. ცხადია, გამორიცხული არც ესაა, მით უმეტეს, ამერიკელი „გენიოსების" შარშანდელი მარცხების პრეცედენტთა ზვავის შემდეგ. მაგრამ აქ საქმე ისაა, რომ მარტინს ოცნების გუნდში დროებით ეძახიან. ის თავისიანებს საკვალიფიკაციო ზღურბლზე გადაბიჯებისას ხელს მიაშველებს და მერე კი თავის დაუთმობს ადგილს კარლ მელოუნს.

ისე, ეს პირველი შემთხვევაა, როცა „დრიმ თიმში" ერთი გუნდის სამი მოთამაშე იყრის თავს. 50 ვარსკვლავის ქვეყანას 51-ე დეფაქტო შტატში კენიონ მარტინის გარდა „ნიუ ჯერსი ნეთსის" კიდევ ორი წევრი ჯეისონ კიდი და რიჩარდ ჯეფერსონი წარადგენენ.

**კოტე ყორშია**



REUTERS

ამასობაში სან ხუანში პირველი მატჩები გაიმართა. წუხელ არგენტინის ძლიერმა ნაკრებმა მოულოდნელად მექსიკასთან 89:91 წააგო. ფოტოზე ძირს გართხმულან არგენტინელი ემანუელ ჯინობილი ( სან ანტონიო სფურსი ) და მექსიკელი ედუარდო ნაჯერა (დალას მავერიკსი). პირველმა ბოლო ბურთი ააცილა, მეორემ კი 20 ქულა ჩააგდო





# ის ურჩევნია ფატერლანდს
## ბეკერების გენეტიკური კიდობანი

**განთქმული** გერმანელი მჩოგნე ბორის ბეკერი ავსტრიულ გრაცში ვასამართ ვეტერანთა ტურნირზე თავის 9 წლის ბიჭუკელა ნოესთან ერთად ჩავიდა.

თავის მწითური მამიკოსგან განსხვავებით ნოე შავტუხა ბავშვია და რაკილა ღუნღულა ქოჩორიც მოსავს, იქაური ფოტოგადამღებთათვის ერთობ სასურველ ობიექტად იქცა.

ეგ მით უფრო, რომ ის ვვარზე მოჩოგნავეც ყოფილა და კალათბურთისა და ფეხბურთის გარდა ჩოგბურთსაც დიდი სიამოვნებით თამაშობს.

„ნოე ძალიან ნიჭიერია — ამბობს ბორისი — თავადაც ხედავთ, ჩოგბურთს უკვე მაგრად ამულამებს. ანდრე აგასიმ შემომთავაზა, დავნიძლავდეთ, რომ ჩემი ბიჭი შენსას უიმბლდონის ფინალს მოუგებსო, მაგრამ მე უნამუსო არა ვარ და ნიძლავი არ მივიღე — მის ჯეიდენს ხომ ნოესთან არავითარი შანსი არ ექნება."

აქვე წარმოდგენილ ფოტოზე თქვენ ხელუკუღმად მოვლაჯუნე მამა-შვილს ხედავთ. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, მათ ხელუკუღმებს შორის დასტურ მამაშვილური მსგავსება რომ შეამჩნიო.

„ისტორია ჯერ ეგეთ რამეს არ იცნობს, დიდ მჩოგნე მამას ასევე დიდმჩოგნე ვაჟი გამოსვლოდეს — მსჯელობს ბორისის სახელიანი მწვრთნელი გიუნტერ ბოში — მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ნავსი ბეკერთა ოჯახმა გატეხოს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსება აშკარაა — ნოეს მამის დარად ელასტიური მაჯა და ძალზედ ბასრი მზერა აქვს."

ერთ-ერთ გრაცულ მატჩში უფროსი ბეკერი თავის ოლინდელ თვისტომმეტოქეს, მიხაელ შტიხსაც ერკინა. შტიხი 6:7, 3:3 იგებდა, როცა შეხვედრა სიბნელის გამო გადაიდო.

„ღამე ნოემ მითხრა — მამა, შენ უფლება არა გაქვს, მაგასთან [illegible] ჰო, ამან მართლაც გაჭრა და მეორე დღეს დარჩენილი სეტები 6:4, 6:4 მოვიგე... ნოე ჩემი საუკეთესო მწრთნელია."



ბეკერების გენოფონდი





REUTERS

რალფ შუმახერს აპელაცია დაუკმაყოფილეს

# რალფმა სიმშვიდე იყიდა

**ავტოსპორტის** საკანონმდებლო საბჭომ დააკმაყოფილა ამ საჯინიბოს პილოტი და დაადგინა, რომ „უილიამსის" მძღოლი რალფ შუმახერი ამ კვირადღეს უნგრეთის დიდ პრიზს დაიწყებს იმ პოზიციიდან, რომელსაც მოიპოვებს წინა დღით კვალიფიკაციაზე, და არა 10 ადგილით უკან.

გავიხსენოთ, რომ 3 აგვისტოს, გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებისას, როგორც მაშინ დაერქვა, „რალფის ინიციატივით" რბოლის პირველივე მოსახვევში ავარია მოხდა. შედეგად თავად შუმახერის „უილიამსის" გარდა კიდევ ხუთი ბოლიდი დაზიანდა და გამოეთიშა რბოლას. მაშინ რალფი მომდევნო რბოლის ათი ადგილით უკნიდან დაწყებით დაისაჯა.

რალფი არ თვლიდა თავს დამნაშავედ, და მისმა გუნდმა უმალვე გააქანა აპელაცია, რამაც შედეგი გამოიღო და რალფს 10-ადგილიანი „დარჩოჩება" 50-ათასიანი ჯარიმით შეუცვალეს. ამის გამო რალფი და მისი „უილიამსი" სიხარულს არ მალავდნენ, მათ ფულის გადახდა ერჩივნათ, მით უმეტეს სეზონის ასეთ მოეაკვეთში, როცა რალფს ჩემპიონობის შანსი აქვს, ხოლო „უილიამსი" საჯინიბოთა თასისთვის იბრძვის და მოწინავე „ფერარის" მხოლოდ ორი ქულით ჩამოუვარდება.

რაც შეეხება თავად ავარიას, რალფ შუმახერს ბრალად ედებოდა რბოლის პირველ მოსახვევში სხვებისთვის სახიფათოდ შესვლა და უკან მომავალი კოლეგებისთვის, კონკრეტულად კი მაკლარენელი კიმი რაიკონენისთვის გზის მოჭრა. რალფის უილიამსელმა წარმომადგენელმა ენდრიუ ჰანტერმა ავარიის სურათი ასე დახატა: რალფი უკან მარჯვენა მხრიდან მომავალ ფერარელ რუბენს ბარიკელოს ხედავდა და როცა მარჯვენა მოსახვევისკენ გადაუხვია, ერთი ბოლიდისთვის, ანუ ბარიკელოსათვის საკმარისი ადგილი დატოვა. ამ დროს რალფის მხედველობის არის მიღმა მყოფმა კიმი რაიკონენმა თავად მოინდომა ამ ადგილის „ათვისება" და სივიწროვეში ეს სამივე და კიდევ სამიც სხვა ავარიაში მოყვა. ჰანტერისვე თქმით, რალფს არ შეეძლო თავიდან აერიდებინა შეჯახება, მაშინ, როდესაც უკან მომავალ რაიკონენსა და ბარიკელოს შეეძლოთ.

ამის გამგონე და ეკრანზე ავარიის დაწვრილებით გამრჩევმა ძიებმა ზოგი დაიჯერეს ზოგიც არა და პირველად გადაწყვეტილება შეცვალეს, რალფს — თუ მის საჯინიბოს — 50 ათასი დოლარი შეაწერეს. ამ ფულით უმცროსმა შუმახერმა ამ უქმეებზე უნგრეთის დიდ პრიზზე რბოლისთვის სიმშვიდე იყიდა.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნივერსიადის წინ

სამხრეთ კორეის ქალაქ ტაეგუში სტუდენტური ოლიმპიადის, უნივერსიადის დღეები დგება. მსოფლიო თასის ლამაზი სტადიონის გარშემო უსაფრთხოების განსაკუთრებული სარტყლები იქნება შეკრული და მხნე ჯარისკაცთა ვარჯიშობაც ამას მოწმობს. თავიდან უნივერსიადაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდა ჩრდილო, კომუნისტური კორეა, აქაოდა, ჩვენმა მოძულეებმა ჩვენი დროშა დაწვეს სეულშიო, მაგრამ აგე, მათი დელეგაცია მაინც ჩასულა და სამხრეთელი ლამაზმანები ხალისით ესალმებიან ჩრდილოელ ჯეილებს.





REUTERS



# ბიჭი ტაიჭზე

ანაჰაიმში გახურდა მსოფლიო ჩემპიონატი ტანვარჯიშში. ჩინელი ჰაიბონ ტენგი დიდი ოსტატობით ტრიალებს ტაიჭზე და ფოტორეპორტიორსაც ის წამი აურჩევია მისი გამოსვლიდან, რომელიც გვარწმუნებს, თითქოს მოვარჯიშე მხოლოდ ორი თითით იკავებს სხეულს. არადა, ეს მხოლოდ შეჩერებული წამია და შეჩერებულმა წამმა კი თვალის ახვევა იცის.

REUTERS

# გადმოვარდნა ილინოისში

აი, რა ხდება არლინგტონის დიდი დოღის კიდევ ერთ დღეს. შაბათს რომ „სთორმინგ ჰოუმმა“ და მისმა მხედარმა გარი სტივენსმა პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი, ახლა ამ ცხენს ეს ჟოკეი გადმოუგდია და შეჯიბრიდანაც მოხსნილა. გამარჯვებისკენ კი დევიდ ფლორესი და მისი „სულამანი“ (მარცხნივ) მიიწევენ. გადმოგდებული გარი სტივენსი მსახიობადაც არის ცნობილი. იმას უთამაშია ფილმ „ზღვის ორცხობილაში“. „არლინგტონ მილიონ XXI“ კი მეტად პრესტიჟული დოღია, ილინოისში რომ იმართება ხოლმე.

REUTERS



REUTERS



# სანია მირზას ჯილდო

ინდოელი სანია მირზა ამ ქვეყანაში ჩოგბურთის ერთადერთი ვარსკვლავია. მართალია, ამომავალი, მაგრამ მაინც ხომ მოიგო უიმბლდონის წყვილთა ახალგაზრდული ტურნირი. სანია რაჯივ განდის სახელობის პრიზით დაუჯილდოვებია ინდოეთის ეროვნული კონგრესის ახალგაზრდულ ფრთას, რაც გოგომ ხალისით მიიღო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge